

# კონტრასტული სურათები

როგორ იქნებოდა გორის რაიონში სპორტულ ბაზას?

ამ საკითხით დაინტერესდით და რაიონის სპორტის ხელმძღვანელეთან ერთად გავეცანით მდგომარეობას.

ერთი შეხედვით, ცუდი სურათი არა ჩანს. საშაგლით მოცილებული შინდისის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ზაქარია კაპანაძე), ზედღუღის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე, ახლო წარსულში საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი, რაიონის ჰიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი ალბერტ ილიურიძე), აგრეთვე ვარაზის, დივის, ტირმისის, ნევისისა და სხვა სოფლების თავკაცებზე.

სამწუხაროდ, ამას ყველაზე ვერ ვიტყვით.

ზოგან სპორტული ბაზები დანგრევისა და გაპარტახების პირამდე მისულა. სკრის მებღებლის საცდელ სადგურში (დირექტორი რ. კვაჭანტირაძე, პარტული ორგანიზაციის მდივანი ა. ხუბულური, ფიზკულტურის მეთოდისტი ზ. ოქროშიაშვილი) სპორტული კომპლექსის მოწყობა გადაწყვიტეს, ადგილი შეარჩიეს, მაგრამ მერე... გადიფიქრეს. ახლა იმ ადგილს, სადაც სპორტული კომპლექსის გაშენება გეგმავდნენ, სამოსახლოებად გავიქნა უპირებენ.

ფიზკულტურისა და სპორტის მუშაობის საფუძვლებში საცდელი სადგურის თავკაცები უფრო გამორჩევიან. საიქიანო დარბაზი, რომელიც აქ ჰქონდათ და, სადაც ჩვენმა სახელოვანმა ფალანგებმა: მსოფლიოს ჩემპიონმა თემურ ხუბულურმა, ევროპის ჩემპიონმა კობა კურტიანიძემ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ფირონ გასიტაშვილმა მიიღეს პირველი სპორტული ნათლობა, ჯერ შხაქიძეების საწყობად გამოიყენეს, მერე, როცა ჰერიდან წყალმა იწყო დენა, საერთოდ შიატოვს. ისე შიატოვს, რომ დალობას ლეიბებიც კი ვერ გადაარჩინეს.

დარბაზს პატარა რემონტი რომ ჩატარონ, შეიძლება ისეც ახალგაზრდების სამსახურში ჩადგეს, მაგრამ პატრონი ვინაა? მეთოდისტი, რომელიც მესამე წელია აქ მუშაობს, მიღებული ხელფასის ნახევრის ტოლფასიც არაფერი გაუკეთებია.

— ტაშენტი სწავლობს, ნახევრად გზაშია. ჩვენთან მუშაობის დრო არც არჩება, — ამბობენ საცდელი სადგურის მუშა-ახალგაზრდები.

...ახრისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, როცა მის სათავეში ყოფილი სპორტსმენი რუხო დოთიაშვილი ედგა, სამი წლის წინ მოაწვეეს სპორტული კომპლექსი, სადაც ხშირად იმართებოდა რაიონული და ადგილობრივი შეჯიბრებები, მაგრამ ახლა საცდელად გამოიყურება. ბალახით დაფარული მოედნები სოფლის ნახრისის საიალალოდას გადაქცეული. ჩვენი იქ მისვლისას პირუტყვი ბალახობდა. ერთ-ერთი მათგანი კალათურის ფარის ბოძზე გრძელი თოკით გამოგებია.

ვინ არის დამნაშავე? — პირველი რიგში ფიზკულტურის მეთოდისტი ფ. ვათიაშვილი. მეურნეობის დირექტორმა ნატალია მატეიკოვამ, რომელიც ამ თანამდებობაზე სულ რაღაც ექვსი თვის წინ აირჩიეს, ცუდი დანახვაზეა როდი მისცა მეთოდისტის მუშაობას. დირექტორის ნათქვამი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე ი. ქურთაულიც დაადატურა, მაგრამ ფაქტი ჯოჯოხია, ვერსად გავქცევით.

როგორც აღვნიშნეთ, სპორტული კომპლექსი ბალახითაა დაფარული, ხოლო ალაგალაგ მინერალ-მონგრეულიცაა. დირექტორმა სპორტული კომპლექსის ასეთი ყოფა, ეტყობა, აქამდე არ იცოდა და მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას დაგვიპირდა. სანამ მე აქ ვიქნები, ასეთ რამეს ვეღარასოდეს ნახავთ.

— ციციგანთ კარის ახალგაზრ-

დების ბრეტენბიგზე რას გვეტყვი? მათ შარშან წერილით "ლელოს" მიმართეს, ფეხბურთის მოედანი ვერ იქნა და ვერ მოგვიწესრიგესო, — ვეკითხებით მეურნეობის ხელმძღვანელს.

— ადგილის გამოყოფის შესახებ საკითხი ზემდგომ ორგანოებში დავსვით და ახლო მომავალში პრობლემა გადაწყდება, — გვიპასუხა მეურნეობის ხელმძღვანელმა.

ახრისიდან ქიწინის საბჭოთა მეურნეობაში გადავიხადეთ. აქ, შარშან შემოდგომის დამდეგსაც ვიყავით. მეურნეობის დირექტორის მ. ქობლიანიძის თანდასწრებით ფიზკულტურის მეთოდისტი კობა რაზმაძეს ვთხოვეთ ქალაქში სუფთად ჩამოწერილი სპორტული სექციები ამოქმედებინა, მაგრამ ტყუილად ვაგრძელოთ. იგი თავის "ქარგ" მუშაობას მხოლოდ ქართული ჰიდაობის საღამოების მოწყობაზე ხელდას და სპორტის სხვა სახეობები რომ დავიწყებდა ეძლევა, ამაზე არ ფიქრობს. მეთოდისტი კომპლექსის ორგანიზაციასაც ხელმძღვანელობს და ეტყობა, სპორტისთვის დრო არ რჩება, ხელფასს სწორედ ფიზკულტურის მეთოდისტი სთვლის იღებს.

მალხაზ სუნიშვილს მეგობრებზე ვიკითხე ავტორიტეტი არა აქვს. იგი კოლმეურნეობის ფიზკულტურის ორგანიზაციის ხელმძღვანელობს, ამას წინათ აქ სპორტსკოლა გაუხსნია, მაგრამ კულტსახლში საჭიდაო დარბაზის მოწყობის შემდეგ, სტადიონის გვერდით მყოფი და საჭიდაო ხარბიელი, რომელიც ახალგაზრდობას აქამდე კეთილ სამსახურს უწევდა, უპატრონოდ მიუტოვებია. საკმაოდ მიღწილ-მოღწილია, ვილაცას ნაგვიც დაუყრია და ხის ველებიერელო მაროც შეუთრეგია. ვერც კალთბურთის მოედანი გამოიყურება კარგად.

ფიზკულტურული მუშაობის აშკარა შეუფასებლობის ფაქტს წავყვებით მეგობრის მებღებლის საბჭოთა მეურნეობაში. მეთოდისტი ვაჟა მარიაშიძე, რომელსაც უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს, სხვების გადმოცემით (თვითონ ვერ ვხედავთ), ძალიან შეუფერხობიათ, იძულებული გაუხდიათ განცხადება დაწერა და წასულიყო. მის ადგილზე გაფორმებული ინფინერ-მედიკოსი ზაქარია კეხუაშვილი კი საქმეს თავს ვერ ართმევს... მეურნეობის ფიზკულტურელები არც სპორტული მოედნებით არიან გახებებებულნი. მდინარე ლიხვის პირზე ამ სამი წლის წინ წამოწყებული სპორტ-კომპლექსის დამთავრებას სისიკეთო პირი არ უჩანს. „სტადიონი“ კი მუსულამდე ბალახითაა დაფარული.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს შესანიშნავი სპორტული მოედნები აქვს, ახალგაზრდებიც ბლიბად ჰყავს. თავის დროზე აქ ფიზკულტურული-სპორტული მუშაობაც სასურველ დონეზე იდგა, მაგრამ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის-საბაზით მეთოდისტის შტაბი გააუქმეს და ყველაფერი ჩაქვდა.

დილაადრიან ვინახულეთ „ქართლის“ ფეხბურთელთა შესანიშნავი სტადიონი, რათა აქ ჩამოყალიბებული განმრთელობის ჯგუფების მეცადინეობა გვეხანა. ათობით აღმართი დაგვედა სპორტის ამ მართლაც შესანიშნავი კარაზე. ზოგი ფეხბურთის თამაშობდა, ზოგი ველოსიპედით დასერილობდა, ზოგი სირბილით ეჯიბრებოდა ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონი ქალაქის ცენტრიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული, ვის აღარ ნახავდით აქ. მათ და სტადიონის დირექციას სხვებმაც უნდა მიხადონ.

ილია თაველაშვილი, „ლელოს“ ზაქ. კორ. გორის რაიონი.

ისამ კიბირიასა და საშა დარასელია უშუალო თათხობით ჩვენში ხელმეორედ იშვა „ისინდი“ და „ცხენბურთი“, „ყაბახი“ თუ „თარჩია“ — ქართული ხალხური ცხენოსნული სპორტის ეს ულამაზესი სახეობები.


საშა დარასელია მამინ ზუგდიდის ცხენოსანთა ნაჯრები გუნდის კაპიტანი იყო. 1948 წელს ზუგდიდელმა მხედრებმა საქართველოს



## თავი ყველას დაამახსოვრა

პირველობის გარდამავალი თასი დასაქუთრეს. ცხენოსნობის ქომბეგბს „ისინდის“ მოთამაშეთა შორის — გამორჩეულად დაამახსოვრდათ დარასელიას ოსტატობა. ალექსანდრე (საშა) დარასელია დაიბადა 1897 წელს სოფელ ჯუმში. ამჟამად ზუგდიდის რაიონის ამ სოფელს კოლხიდა ეწოდება. საშას მამა — მალხაზ დარასელია დაახლოებული იყო დღიანების ზეგანთან. ათი წლის მალხაზი სამწვემსურში ვაჟუგზავნიდა. პატარა ბიჭუნა ზაფხულის ცხელ დღეს ხეზე აცოცებულა და იქიდან ადევნებდა თურმე თავის ნახარსს. მალე ცხენოსანი მონადირეებისათვის მთუკრავს თავალი. ერთ-ერთ წარჩინებულ მხედარს, ხალაოშე დადიანის მუღლეს — პირველ ახლო მთურატს ბიჭისთვის ცივი წყლის მოტანა დაუვალბია.

მალხაზი შინ გაქცეულა და წყლის ნაცვლად პატარა დოქით ოჯახში მიუერთებია სტუმრისათვის. ამილ მიუარტს მოსწონებია ბიჭუნას საზრიანობა. პრინცი თავად სწვევია მალხაზის მამას სახლში და ბიჭუნას ბედიც იქვე გადაწყვიტა. მიუარტს აღსაზრდელად თავის ოჯახში წამოუყვანია საშას მამა. ცოტა ხნის შემდეგ მალხაზი საფრანგეთში წა-



უყვანიათ. 37 წლის შემდეგ დაბრუნდა იგი სამშობლოში, დადიანების ოჯახში ეწეოდა თარჩინობას... მალხაზ დარასელიას ოცნება იყო, მისი შვილი იქნებოდა გამოსულიყო. სწავლობდა კიდევ საშა კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ შრომობების სურვილის საწინააღმდეგოდ, კავალერისტობა არჩია ყველაფერს. 1914 წელს საშა დარასელია ნიქეგორთლის საცხენოსნო პოლკში ჩარიცხულა. არმიისთვის ცხენოსანთა სამხედრო ნაწილში სამსახურისას გაიცნო ბუდიონი, რომელთანაც შემდგომ მრავალი წლის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა. ზუგდიდის ცხენოსანთა გუნდმა დარასელიას მეთაურობით 1949 წელსაც მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქ-

მაც „კოლმეურნის“ რესპუბლიკური შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა. 1960 წელს მან მარშალ ს. ბუდიონის ხელმოწერით მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი — ცხენოსანი გუნდის მიერ III საკავშირო საცხენოსნო შეჯიბრებაში (მოსკოვი) ისინდა და ცხენბურთში პირველი ადგილების დაკავებისთვის. ა. დარასელია იყო სანიმუშო მსაჯი და მიუყვრბებელი არბიტრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ამ შესანიშნავი მხედრის ფოტოსურათი უკრნაღმა „ოგონიოკმა“ გამოქვეყნა თავის „არწიეთან“ ერთად — დაბრკოლებათა გადალახვისას. უკრნაღის საშუალებით ა. დარასელია მთელმა ქვეყანამ გაიკა.

თამაზ ჰიბაზა. ავტორის ფოტორეპროდუქცია.

## მუშათა სპარტაკიდა სპორტი მუშარ სპეციალური

დღეს აღარავის აეკვებს, რომ სპორტი პაერით სპორტდება მუშაკაცს. ამ მიზანს ემსახურება პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურული-სპორტული საზოგადოების საქავშირო საბჭოს მიერ ორგანიზებული ასპარეზობა — მუშათა პირველი საკავშირო სპარტაკიდა, რომელიც უკვე დაიწყო და გაისად უნდა დამთავრდეს. (ამ სპარტაკიდას შეახებ ცალკე მეთოდური წერილი გამოქვეყნდა „ლელოსში“).

როგორც ვიუწყებოდით, მუშათა სპარტაკიდას პირველი ეტაპი უშუალოდ ფიზკულტურული კომპლექტებში, ბრიგადებსა და სოციალურ გუნდებს შორის მიმდინარეობს. თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანში“ თვეზე მეტია გრძელდება სასპარტაკიადო შეჯიბრება, რომელშიც საწარმოს ორი ათასმდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობს. პროგრამაშია ჟრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ვეებურთი, სიმძიმეების აწევა, ბაგროის გადაძალვა, ტურისტული ტაშქრობა.



8 გუნდის მონაწილეობით საბჭოთა რაიონის სოფელ ანეთის საშუალო სკოლის ფეხბურთის მოედანზე გაიმართა საქალაქთშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობდა 8 გუნდი. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის „ლოკომოტი-

ზოგიერთ სახეობაში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მაგალითად, ტურნირში (ტურისტული ესტაფეტა და კარვის გაშლა) ყველას აჯობა გავრთიანების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა, მაგადის ჩოგბურთში უმლიერესის სახელი



აოავის დაუთმეს სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენლებმა (მეურნეები ნაზი სოლოლაშვილი, ელენა უბტინოვა, ქვეოსტატები მამუქა გავარდაშვილი, ზაზა გიგაური), ქადრაქში კი მღებავთა გუნდმა იმარჯვა (მჩითავი ჯემალ ჯავახიშვილი, მუშა ლევ მარქარიანი, მღებავი ნორდარ ჯალაღონია).

გაერთიანებაში პოპულარულია საწარმოო ტანვარჯიშის კონკურსი, რომელსაც ფიზკულტურის მეთოდკაბინეტი ატარებს, აგრეთვე ასპარეზობა მშდ კომპლექსის მრავალკვიდში.

სურათებზე: ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ ტურისტთა შეჯიბრება კარვის გაშლაში; ტყისა და ხისდამამუშავებელი საწარმოთა კოლექტივების ფინალური შეხვედრის მომენტი. მოკლედ კის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდმა (მწვრთნელები ი. ურულაშვილი და ნ. ჩიგოგიძე). დაწყებული იყო სხვადასხვა პრიზები, რომლებიც საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ. იორამ ნიკოლეიშვილი.

## მიზანი — ზონალური პირველობა

თბილისის კიროვის სახელობის პარკის სპეციალიზებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კრივის სპორტსკოლაში ჩატარდა პროფკავშირთა რესპუბლიკური პირველობა 1972-73 წლებში დაბადებულ მკორივეთა შორის. სასპარტაკოდ გამოვიდა 80 მკორივე. წინითი კატეგორიების მიხედვით ოქროს მედლები დისაკუთრეს: ფოთელმა კობა გოგოლაძემ (44-კგ), სოხუმელმა ხვიჩა ქარდავამ (46), ფოთელმა პატა გვასალიამ (48), ქუთაისელმა ჯონი კაკაბაძემ (50), თბილისელმა აზიზ უსუპიანმა (52), ტუთისელმა გოჩა ტყეზლაძემ (54), ტუთისელმა გოგია კალატოზმა (57), თბილისელმა ჯანგირ ამოგვამ (60), სოხუმელმა ბესლან არშამ (63), ალექსანდრე სვანიძემ (66) და რუსლან სამუშიამ (70), ჰიათურელმა გივი ცაბალოვამ (74), ფოთელმა ზურაბ სარსანიამ (79) და თბილისელმა იური მეღქონიანმა (+85). სპეციალური პრიზები — საუკეთესო ტექნიკისთვის გადაეცათ ფოთელ კახა გოგოლაძეს, ქუთაისელ გოჩა ტყეზლაძეს და თბილისელ ჯ. ამოგვამს.

გამარჯვებისაკენ სწრაფვისთვის — ქუთაისელ ჯონი კაკაბაძეს და ფოთელ ზურაბ სარსანიას. შეჯიბრება მიზნად ისახავდა რესპუბლიკის პროფკავშირთა ნაკრების შეირჩევის მომდევნო ზონალური პროფკავშირული პირველობისათვის, რომელიც გაიმართება 18-24 ივლისს ქუთაისში. დავით ძავთარაძე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლის დირექტორი.



# ჩემპიონებს, ვაჟა!



ოლიმპიური მოწვევა

## დასასრული

როცა ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ „ივერია“ მხოლოდ მეოთხე წელია რაც არსებობს.

შეიქმნა გუნდის უფროსი მწვრთნელს ავრორი ტალახაძეს: **ჩვენი ვაჟები მოკლედ იუწყებოდა „ივერიის“ გამარჯვების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ფეხბურთის საქართველოში ისე პოპულარული არ არის, როგორც, ვთქვათ, სკანდინავიის ქვეყნებში და ბევრი ექვეის თვალთაც კი უყურებს მას, თქვენმა წარმატებამ დიდი ინტერესი და სიხარული გამოიწვია. მიზეზი იმისაა, რომ ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს სხანგლო გამარჯვებები მოენატრა.**

ქალთა ფეხბურთით დაინტერესებას ალბათ მართლაც ამით ვერ ავხსნი. გაიხსენეთ შედეგების პირველი თამაში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. ბილიუსი შოვან პრაბლემი იყო. იგივე სურათი გამოვლინდა 1986 წელს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე — თბილისის მესამე და ადგილობრივი სამედიცინო სასწავლებლების გუნდების შეხვედრის დროსაც ხალხი დაესწრო. ყოველივე ამას, ცხადია, იმანაც უნდა უყურო ხელი, რომ ყველას აინტერესებდა, რა განსხვავებაა ქალთა და ვაჟთა ფეხბურთს შორის, მაგრამ ძირითადი მაინც ფეხბურთის სიყვარული გახლდათ.

## ხომ არ გაგივირდათ გამარჯვება?

ქალქ კაშირაში ჩვენმა გოგონებმა, როგორც იტყვიან, ნამდვილი ცეცხლი დაანთეს მოედანზე. ისინი ყველა შეხვედრაში დიდი მონღომები, თავდაუზოგავად იბრძოდნენ. უპირატესობა ყველა მატჩში მათს მხარეს იყო. ფინალურ შეჯიბრებაში ოცი გუნდი მონაწილეობდა. ისინი კენჭისყრით ოთხ ჯგუფად დაყვეს. მეოთხე ჯგუფში ჩვენთან ერთად გამოდიოდნენ ვილნიუსის „ვეგლე“, დენბროვტროვსკის „დნეპრი“, ლენინგრადის „სკოროხიდი“, კრასნოდარის გუნდი. მინდორზე გამოსვლა დღეში ორჯერ გვიხდებოდა — დილით და საღამოს. ტაიმები ოცწუთიანი იყო. პირველი შეხვედრა დიდი ანგარიშით — 4:0 მოვუგეთ კრასნოდარელებს, მეორე მატჩში ასევე მშრალი ანგარიშით დავამარცხეთ „ვეგლე“ — 3:0, ლენინგრადელებთან ფრედ ვითამაშეთ — 1:1. არ გაგვიმართლა. მოწინააღმდეგე მთელი შეხვედრის მანძილზე მხოლოდ ჩვენს გუნდს ვეხვედრებოდა, მაგრამ მანქანა ვერ მოვიგეთ. ბოლო შეხვედრაში „დნეპრის“ ძლიერი გუნდი დავამარცხეთ ანგარიშით 1:0 და ნახევარფინალში გავადით. თავინთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს მოსკოვის ოქტის მალახოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რამენსკის „ტექსტილშიკმა“ და კიევის „სპარტაკმა“. ნახევარფინალში კიე-

ველებს შევხვდით, თამაშის დამთავრებამდე წუთ-ნახევარი იყო დარჩენილი, როცა ჩვენი გუნდის ბომბარდირმა ინგა სულამანიძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარფინალში მალახოველებმა თერთმეტმეტრიანებით დამარცხეს რამენსკელები (ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 1:1).

ფინალი დაძაბული გამოდგა. მალახოველებმა რატომღაც დაცვითი ვარიანტი აირჩიეს. როგორც ჩანს, თერთმეტმეტრიანების იმედი ჰქონდათ. მსაჯე უკვე წამშობს უყურებდა, როცა კვლავ სულამანიძემ გამოიჩინა თავი და მოწინააღმდეგის კარში ბურთი შეაგდო. ინგამ სულ შვიდი ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი დაისაკუთრა, საერთოდ კი ჩვენმა გუნდმა 11-ჯერ იღო მეტოქის კარი და მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა.

**უფროსი მწვრთნელის ნათქვამს რამეს თქვენც ხომ არ დაუმატებდით? — ვითხეთ მეორე მწვრთნელს რამაზ მალაფეიძეს.** — საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გიორგი ჟიროვამ ოცდაათი მთამაშე შეარჩია, თხუთმეტი — ახალგაზრდული გუნდისთვის და ამდენივე მოზრდილითა ნაკრებისთვის. პირველ ნაკრებში ჩვენი გუნდიდან მიწვეული არიან ინგა სულამანიძე, მყუალა ამხოვე და ირმა ქარდავა, ახალგაზრდუ-

**საულის** ქალთა უნივერსიტეტის ევხას-სტუდენტებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ოლიმპიადის განსნის საზეიმო ცერემონიის დროს ტანვარჯიშულ გამოსვლებში მონაწილეობაზე. ჩვენ, — განაცხადეს მათ, — უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გვაძიულდება საკუთარი სახსრებით შეგვიძინა ინვენტარი და სპორტული ფორმა, ამის საშუალება კი ბევრს არა აქვს. ან კი რატომ უნდა დავხარჯეთ ჩვენი ფული იმაში, რასაც წესით მთავრობა უნდა გვაძლევდეს?

**ფიზიკულ** ციგურაობაში არსებული ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი, 22 წლის კატარინა ვიტი (გდრ), რომელმაც თავი დაანება სპორტს, შესაძლოა სეულში გაემგზავროს, როგორც ტელეკომენტატორი. მართალია იგი სპორტის ზამთრის სახეობათა სპეციალისტად ითვლება, მაგრამ კარგად ერკვევა ცურვაში, მძლეობაში და ტრენინგურებლებს უსასულად კვალიფიციურ ინფორმაციას მიაწვდის.

**საერთაშორისო** ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი ერთ-ერთი სხდომა მთლიანად აპარტიდის პრობლემებს მიუძღვნა. კერძოდ, კატეგორიულად ითქვა, რომ სანამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უარს არ იტყვის თავის რასობრივ პოლიტიკაზე, ოლიმპიური მოძრაობიდან გარიყული იქნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა თავისი შემადგენლობიდან გარიყა.

**როგორც** ცნობილია, ქალაქები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ოლიმპიური თამაშების მოწვევაზე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა მისი-ცილებაზე სასრებს არ ზოგავდნენ. ეწყობოდა ფეხბურთის სადილიები და მიღებები, სოკის წვერებს ძვირფასი საჩუქრები უმასპინძლებდნენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ზუან ანტონიო სამარანჩი მკაცრად ილაშქრებდა ამ ტრადიციის წინააღმდეგ და ბოლოს, როგორც ჩანს, მიზანს მიაღწია. 1992 წლის ოლიმპიადის მოწყობი ქალაქის ვინაობა ცნობილი გახდება შემდინარე წლის სექტემბრის სეულში. მაგრამ კანდიდატებს მკაცრად აქვთ აკრძალული სადილებისა და მიღებების გამართვა.

**სამხრეთ** კორეის განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სეულში ოლიმპიადის გახსნასა და დახურვაში მონაწილეობას მიიღებს 12 ათასზე მეტი მოსწავლე. მათთვის უკვე შექმნილია საიდესასწაულო ფორმა. მოსწავლეები რამდენიმე თვეა სახზადისს გადიან ოლიმპიურ სტადიონზე. მათი ტანვარჯიშული გამოსვლების პროგრამა ცნობილმა სპეციალისტებმა შეადგინეს.

**როგორც** ოფიციალური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში მილიონზე მეტი კაცი თამაშობს. ისინი, ამ თამაშის, ასე ვთქვათ, რეგისტრირებული თაყვანისმცემლები არიან. მაგრამ ვინ მათთვის კიდევ რამდენი მილიონი კაცი თამაშობს ჩოგბურთს თავისი საამოვნებებისთვის? სპორტის ამ სახეობის ესოდენ დიდმა პოპულარობამ განაპირობა ის, რომ ჩოგბურთი სეულის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს. საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ფილიპ შატრეის აზრით ჩოგბურთული ოლიმპიური ტურნირი იქნება ყველაზე ლამაზი და მომხიბლავი სანახაობა სეულში.

## სპორტი და გამოჩენილი ადამიანები

### ენერჯის „საიდუმლოება“

ვინც განთქმულ ავსტრიელ დირიჟორ ჰერბერტ ფონ კარაიანის მეტად დაძაბულ მოღვაწეობას ადევნებს თვალს, აწ შეიძლება გოცემა არ გამოთქვას მისი არაჩვეულებრივი ენერჯის გამო. არაფრის, რამდენ საათს გრძელდება დირიჟორის სამუშაო დღე. კარაიანის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საოპერო თეატრებს, სიმფონიურ ორკესტრებს, მუსიკალურ ფესტივალებს, მაგრამ ის, რაც ასე თუ ისე გასაგებ იყო 30-40 წლის წინათ, დღესაც გრძელდება, როდესაც დიდ დირიჟორს 80 წელი შეუსრულდა. თუმცა არც ის იყო დიდი საიდუმლოება, საიდან აქვს კარაიანს ამოდენა ენერჯია — სპორტის წყალობით!

სპორტმა კარაიანი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა. იგი ჩინებულს ჩოგბურთული, თამაშობს გოლფს, სისტემატურად მონაწილეობს აფროსანთა შეჯიბრებაში. ორი წლის წინათ, ესოდენ სოლიდური ასაკის მიუხედავად, კარაიანმა მოიგო ტულონ-სან-რემოს რევატა. საინტერესოა, რომ დირიჟორი მონაწილეობდა ავტობოლაშიც „პორშე 95-9“-ით. მართავს ორმოტორიან რეაქტიულ თვითმფრინავს „ფალიონ-10“-ს. სპორტულ ეურნალებში სხვადასხვა საინტერესო ფორტოსურათებსაც უწყაყუდებოთ: ერთ-ში კარაიანი მოთხილაურეთა შე-

ჯიბრების მონაწილეა, რომელიც შევიცარიის ქალაქ სენ-მორიცში გაიმართა, მეორეში ნახევრებია, როგორც მონაწილეობს ჰიმალაის ექსპედიციაში. დირიჟორი ჰადრაიის დიდი გულშემატკივარია. უფრო მეტიც — იგი ნახულობს დროს და მიმოწერით პარტიებს თამაშობს ამერიკულ კომპოზიტორ ენტონი ბრეჯანტონთან. ფეხბურთით გატაცებას ხომ ნულარ იტყვიოთ. იყო დრო, როცა კარაიანი ფეხბურთის მატჩების რეცენზიებსაც კი წერდა (დსევდონიმით). საინტერესო შეხვედრას ხომ არასოდეს გამოტოვებს.

როგორც დირიჟორის პირადი ექიმი თვლის, 80 წლის კარაიანს „40 წლის მამაკაცის ფიზიკური კონდიცია აქვს, ხოლო თავისი სიცოცხლისუნარიანობით, აქტიურობით და მოძრაობით ბევრ 25 წლის ახალგაზრდასაც კი ჯიბეში ჩაისვამს“. აი, რას წერს ჰამბურგის ეურნალი „შვიგელი“: „სპორტში, ისევე, როგორც მუსიკაში, ჰერბერტ ფონ კარაიანისთვის დამახასიათებელია პაბუკური ტემპერამენტისა და სრულყოფისადმი მისწრაფების შერწყმა“.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია — უყვარს თქმა კარაიანს — როგორც გინდო ბეთოვენის ვიორული სიმფონიის განწყობილება დაგუფლოთ, როცა სამეციე დაბაბი გაქვთ“.

## საბავლისფარო ატაკი

**პარიზი.** „ტურ დე ფრანსის“ მეთოთხმეტე, სამთო ეტაბი ამ მრავალდიან ველობოლაში ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო. და სწორედ ამის გამო ამ ეტაბმა ლიდერთა განლაგებაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. სირთულეებს ვერ გაუძლო და ბრძოლა შეწყვიტა „ტურ დე ფრანსის“ ორგზის ჩემპიონმა (1983-1984 წლებში) ფრანგმა ლორან ფინონმა. ერთ-ერთი მთავარი ფაფორიტი და ესპანეთის წლეველელო ტურის ჩემპიონი ირლანდიელი შინკელი ეტაბის გამარჯვებულს 23 წუთითა და 46 წამით ჩამორჩა. მან ცხადდა დაკარგა საპრიზო ადგილები გასული ყველა შანსი. ვერ გა-

ამართლეს სხვა ფაფორიტებმა, მხოლოდ ფან-ფრანსუა ბერნარმა (იგი ამ ეტაბზე 82-ე იყო). ამ საბედისწერო დისტანცაზე მეტ-ნაკლებად კარგად გამოვიდა წლეველელო „ჟირო დ'იტალია“-ს ჩემპიონი, ამერიკელი ენდრიუ ჰემპსტერი. მან გამარჯვებულთან 4 წუთი და 21 წამი წააგო და მეათე ადგილი დაიკავა. მეთოთხმეტე ეტაბი მოიგო პოლანდიელმა სტევენ როოკსმა, რომელმაც 227 კილომეტრი 6:55.44-ში დაფარა (საშუალო სისწრაფე 32,7 კილომეტრი საათში). ლიდერობა საერთო ჩათვლაში ხელთ იგდო ესპანელმა პედრო დელგადომ.

## სპორტულ პაუზაზე

**ფინანსური.** „ლოკომოტივის“ ხტადიონი, 17 ივლისი. საკავშირო პირველობა II ლიგის IX ზონის გუნდებს შორის. „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) — „ტორპედო“ (ვოლკსკი). დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

**პარანა და ეთაერო**  
**ცენტრალური ბალევიზია.** 17 ივლისი. რიტმული ტანვარჯიში — 9.20 (1); „სპორტლოტოს“ ტირაფი — 10.20 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში (გადაცემა მოსკოვიდან) — 21.30 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 24.00 (1).  
18 ივლისი. საფეხბურთო მიმოხილვა — 9.35 (1) და 21.15 (2); ჯანმრთელი რომ იყო — 21.45 (2).

## „სპორტარკანონი“, 88-ე ტირაშის პროგრამა (28-25 ივლისი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორეა ლიგა, მესამე ზონა)	პროგრამა	80	10	10
1. „დინამო“ (სოხუმი) — „მეტალურგი“ (ლიბეცი)	23.VII	80	10	10
2. „ურალანი“ (ელისტა) — „დრუჟბა“ (მაიკოპი)	23.VII	80	60	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორეა ლიგა, მეოთხეა ზონა)				
3. „ირტიში“ (ოშკი) — „ტომი“ (ტომსკი)	24.VII	80	10	10
4. „დინამო“ (ბარნაული) — „პროგრესი“ (ბიისკი)	24.VII	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩხბიში (უმაღლესი ლიგა)				
5. „ლეიტორნაში“ (ლენინგრადი) — „მუნეხელი“ (ქუთაისი)	24.VII	40	10	50
6. „ფილი“ (მოსკოვი) — ახვ (ალმა-ათა)	24.VII	70	10	20
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ვეზლა“ (ტაშკენტი)	24.VII	80	10	10
საერთაშორისო ამხანაგბური მატჩი კალათბურთში (გამაბაცეაბი)				
8. სსრ კავშირი — „ატლანტი ხოუკი“ (აშუ, ქ. თბილისი)	25.VII	10	10	40
სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩხბიში (უმაღლესი ლიგა)				
9. „ექსკავატორტაუხტრო“ (კრასნოიარსკი) — „ელმავალი“ (თბილისი)	25.VII	50	20	80
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორეა ლიგა, მესამეა ზონა)				
10. „ბალტიკა“ (კალინინგრადი) — რაფი (ელგავა)	25.VII	80	10	10
11. „ატლანტი“ (კლიპედა) — „ნიხტრუ“ (კიშინიოვი)	25.VII	40	10	50
12. „იხრა“ (სმოლენსკი) — „სპორტი“ (ტალინი)	25.VII	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
13. „ზენიტ“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	25.VII	20	60	20

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

**ჩვენი მისამართი:**  
წერილებისთვის — 380096  
თბილისი, ლენინის ქ. 14.  
დებულებისთვის — თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ბალევიზია:**  
წერილების განყოფილება — 98-97-55,  
სამდივო — 98-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,  
„მერანი“ — 98-97-26, „მარტივი“ — 98-97-27.

**ჩვენი**  
064350  
66435

საქართველოს კ ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოზარაულის, 29.  
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05441